სტატიები

საქართველოს დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება და დარღვევები არჩევნების პროცესში *

ოთარ ჯანელიძე **

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყო ზრუნვა ისეთი საკანონმდებლო ორგანოს შესაქმნელად, რომელიც არჩეული იქნებოდა საყოველთაო, ფარული და პირდაპირი არჩევნების გზით. ამ საკითხზე საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა შორის აზრთა სხვადასხვაობა არ არსებულა, რადგან ყველამ კარგად იცოდა, რომ დემოკრატიული, სახალხო არჩევნები წარმომადგენლობით ინსტიტუტს გაცილებით ლეგიტიმურს ხდის, ვიდრე მისი იმ ფორმით დაკომპლექტება, როგორითაც საქართველოს ეროვნული საბჭო და საქართველოს პარლამენტი იყო ფორმირებული.[1]

---

* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის „საქართველოს დამფუძნებელი კრება: ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება“ ფარგლებში. გრანტის კოდი: FR – 18 – 20157

** გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი. Otar_janelidze@yahoo.com

[1] ეროვნული საბჭო 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია, რომელიც თავის მხრივ, მოწვეული იყო პოლიტიკურ პარტიათა საკოორდინაციო ორგანოს - ინტერპარტიული საბჭოს მიერ შედგენილი სიით, ხოლო პარლამენტი საქართველოს ეროვნულ საბჭოს მას შემდეგ ეწოდა, რაც 1918 წლის ოქტომბერში მისი შემადგენლობა სამაჰმადიანო საქართველოს, ზაქათალის ოლქის, ასევე, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლებით შეივსო.

ჩვენში ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი პოლიტიკური ძალის - სოციალ-დემოკრატიის მესვეურთა წარმოდგენით, „ერთადერთი დასწესებულება, რომელსაც შეეძლება საქართველოს დემოკრატიის ბატონ-პატრონათ გამოაცხადოს თავი“, დამფუძნებელი კრებაა. დამფუძნებელი კრების იდეას მხარი პარლამენტში შემავალმა სხვა პოლიტიკურმა პარტიებმაც დაუჭირეს. ამრიგად, საერთო-სახალხო ნებით უნდა შექმნილიყო ისეთი წარმომადგენლობითი საკრებულო, რომელსაც შეეძლებოდა სრულად გამოეხატა ქვეყნის არა მხოლოდ სატიტულო ერის - ქართველობის, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის პოლიტიკური მისწრაფება და სასიცოცხლო ინტერესები.

„საქართველოს წეს-წყობილების შემქნელი და ჩამომყალიბებელი იქნება დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელი კრება სარკეა ჩვენი ცხოვრების ყველა დარგისა, ის წყაროა ჩვენი შემოქმედებისათვის. ...დამფუძნებელი კრება სიმბოლოა განახლებულ საქართველოსი“; „საქართველოს დამფუძნებელი კრება უნდა გადაიქცეს იმ დარაჯად, რომელიც მფარველობას გაუწევს ჩვენს მრავალტანჯულ ერს და გამოიყვანს მას თავისუფალ კულტურული განვითარების ასპარეზზე“, - ასე მიაჩდათ კრების თანამედროვე საქართველოში.[2]

მართლაც, დამფუძნებელ კრებას ახლად აღდგენილი ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური იერ-სახის განსაზღვრა, სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების სამართლებრივ საფუძველზე დამკვიდრება, ქვეყნის უმთავრესი კანონის - კონსტიტუციის შემუშავება და დამტკიცება ევალებოდა.[3]

პარლამენტის იურიდიულმა კომისიამ შეიმუშავა დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულება, რომლის განხილვას დეპუტატები 1918 წლის 25 ოქტომბერს შეუდგნენ. დებულების პროექტთან ერთად განიხილებოდა არჩევნების ხარჯთაღრიცხვაც. მსჯელობას

[2] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 12, 13 თებერვალი.

[3] ო. ჯანელიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბ., 2018, გვ. 207-208.

რამდენიმე სხდომა მიეძღვნა. განხილვაში ენერგიულ მონაწილეობ-ას იღებდნენ როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური პარტიებ-ის საპარლამენტო ფრაქციები.

დებულების თანახმად, მომავალი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობა 130 წევრით განისაზღვრა.[4] დაარსდა ერთი საარჩევნო ოლქი და რესპუბლიკა დაიყო საარჩევნო უბნებად. არ-ჩევნები პროპორციული სისტემით უნდა გამართულიყო.

განხილვისას კამათი გამოიწვია საკითხმა დეპუტატობის კან-დიდატის ასაკის შესახებ. პროექტის მიხედვით, რომელსაც მხარს უჭერდნენ სოციალ-დემოკრატები, დეპუტატობის უფლება უნდა მისცემოდა 19 წლის მოქალაქეს. ეროვნულ-დემოკრატები თვლიდ-ნენ, რომ პარლამენტის წევრობისა და კანონმდებლობაში მონაწი-ლეობისათვის საჭიროა „მეტი სიმწიფე ასაკური“ და წინადადებას აყენებდნენ, დამფუძნებელი კრების დეპუატობის კანდიდატის ასა-კი განსაზღვრულიყო 25 წლით. ეროვნულ-დემოკრატები ამ შესწო-რების მიღების დროს უმცირესობაში დარჩნენ, თუმცა უმრავლესო-ბამ გარკვეული ანგარიში გაუწია მათ მოსაზრებას და დეპუტატო-ბის კანდიდატის ასაკი 20 წლამდე გაზარდა.

პარლამენტში ცხარე მსჯელობის საგნად იქცა საკითხი – მის-ცემოდა თუ არა საარჩევნო უფლება პოლიციისა და ადმინისტრაცი-ის მომსახურე პერსონალს. სოციალ-დემოკრატიული უმრავლესო-ბის აზრით, მათ ეს უფლება სრულად უნდა დარჩენოდათ. ფედერა-ლისტები და ესერები მოითხოვდნენ, რომ პოლიციასა და ადმინის-ტრაციას საერთოდ არ ჰქონოდა საარჩევნო უფლება. ეროვნულ-დე-მოკრატიულ ფრაქციას მიაჩნდა, რომ არჩევნების ობიექტურობი-სათვის მართებული იქნებოდა, თუ პოლიციისა და ადმინისტრაცი-ის მოხელეს ჩამოერთმეოდა პასიური და დარჩებოდა აქტიური სა-

[4] უარყოფილ იქნა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება დამფუძნებელ კრებაში 120 დეპუტატის არჩევის შესახებ. არ იქნა გაზიარებული არც ესერების თვალსაზრისი, რომ გაეზარდათ წევრთა რიცხვი 150 კაცამდე, მოტივით: „რაც მეტი იქნებიან წარმომადგენლები, მით უფრო ახლო იქნებიან ისინი ხალხთან“.

არჩევნო უფლება. კენჭისყრისას გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატთა თვალსაზრისმა და პოლიციისა და ადმინისტრაციის მოხელეებს საარჩევნო უფლება სრულად დაუტოვეს.

ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადებამ იმის თაობაზეც, რომ ჯარისკაცებსა და ოფიცრებს სამხედრო სამსახურის პერიოდში არ ჰქონოდათ რაიმე საარჩევნო უფლება.[5] „მხედრის შეგნებაში სამშობლოს დაცვის იდეამ სხვა ყველაფერი უნდა დაჩრდილოს“ – ასაბუთებდა სპირიდონ კედია და ცდილობდა, დაერწმუნებინა პარლამენტის წევრები, რომ „ჯარი პოლიტიკის გარეშე უნდა იდგეს“. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი დებულება კანონითაც იყო განსაზღვრული, სამხედრო მოსამსახურეთ მაინც მიეცათ პასიური უფლება. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულებაში (თავი 2, მუხლი 3) ჩაიწერა: „რეგულიარულ ჯარში ჩარიცხულს აქვს მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება“. სოციალ-დემოკრატ რაჟდენ არსენიძის წინადადებით, რომელიც პარლამენტმა გაიზიარა, საარჩევნო უფლება ჩამოერთვათ დეზერტირებს, - დებულების თანახმად, - „იმ სამხედრო პირთ, ვინც სამხედრო სამსახურიდან გამოიქცა“[6].

დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულების პროექტით, არჩევნების ორგანიზება 4 რგოლს – ცენტრალურს, საგუბერნიოს, სამაზროსა და სასოფლო კომისიებს ევალებოდა.

დავიმოწმებ არჩევნების დებულების კიდევ ორ მუხლს, რომლებსაც განხილვისას აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევიათ. ორივე ეს მუხლი მეტად საყურადღებოა და შეიძლება ითქვას, გასათვალისწინებელიც თანამედროვე საარჩევნო პროცესში.

მუხლი 93: „ვინც თავის ნებით მოაძრობს, ჩამოხევს, ზემოდან რასმე გადააფარებს ან შესცვლის საჯაროდ გამოფენილ საარჩევნო

[5] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 85.

[6] საქართველოს პარლამენტი, 1918 წ. 2 ნოემბრის სხდომის ანგარიში, გვ.3; ასევე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 86.

მოწოდებას, ცნობას ან სიას, ...დაისჯება დატუსაღებით არა უმეტეს ერთი თვის ვადისა ან დაჯარიმებულ იქნება ფულით არა უმეტეს სამასი მანეთისა“.[7]

მუხლი 95: „ვინც გამზრახ ყალბ ცნობას გამოაქვეყნებს კანდიდატის პიროვნების ან მისი პირადი ცხოვრების შესახებ იმ მიზნით, რომ ნდობა დაუკარგოს მას ან მის მის მიერ წარმოდგენილ ორგანიზაციას, ან გაიყვანოს სხვა კანდიდატი, - დაისჯება ციხეში ჩამწყვდევით ან დაჭერით“.[8]

საგულისხმოა ასევე, რომ დებულებით დასჯადი იყო ამომრჩევლის გადაბირება, მოსყიდვა და სხვა დარღვევა, რომელთაგან არც დღესა ვართ დაზღვეული.

1918 წლის 22 ნოემბერს პარლამენტმა დაასრულა დამფუძნებელი კრების დებულების განხილვა და მიიღო იგი. დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულება ნამდვილად პროგრესული დოკუმენტი იყო, მისი განხილვა და მიღებაც ქართული პოლიტიკური სპექტრის პოლიტიკური კულტურის მაღალ დონეს ცხადყოფდა. მკვლევარ სტივენ ჯონსის სიტყვით, 1918 წლის ნოემბრის საარჩევნო კანონი ყველაზე დემოკრატიული იყო მსოფლიოში.[9]

დამფუძნებელი კრების დებულება დაიბეჭდა და ცალკე ბროშურის სახით გამოქვეყნდა. დებულებაში მითითებული არ ყოფილა არჩევნების თარიღი. ამის თაობაზე საქართველოს პარლამენტმა 1919 წლის 3 იანვარს სპეციალურად იმსჯელა. მიღებული დადგენილებით, არჩევნები 14-16 თებერვლისათვის დაინიშნა. დამტკიც-

[7] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 104.

[8] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული. 1918-1921. თბ., 1990, გვ. 105.

[9] ს. ჯონსი, დემოკრატიის ფორმირება საქარველოში: 1918-1921, კრებულში - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ - მოდელი ევროპისთვის?, თბ., 2019, გვ. 45.

და კრების ხარჯთაღრიცხვაც. მთავრობას დამფუძნებელი კრების არჩევნების მოსაწყობად 4 მილიონი მანეთის გამოყოფა დაევალა.[10]

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, გამოიყო 200 ათასი მანეთი სასახლეში იმ დარბაზის შესაკეთებლად, სადაც უნდა ემუშავა დამფუძნებელ კრებას. სამუშაოს შესრულებაზე თვალყური და ხარჯის კონტროლი ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოადგილეს გიორგი ნიკოლაძეს დაევალა. ამასთან, დაიგეგმა სასახლისავე ეზოში პარლამენტისათვის ახალი დარბაზის მშენებლობაც.[11]

დადგენილების გამოქვეყნებიდან არჩევნების დღემდე თვენახევარიც არ რჩებოდა. ოპოზიციის წარმომადგენლები, განსაკუთრებით ეროვნულ-დემოკრატები კრიტიკულად შეხვდნენ დამფუძნებელი კრების არჩევნების ნაჩქარევად დანიშვნას. პარლამენტის სხდომაზე გამოსვლისას სპ. კედია ამტკიცებდა, რომ არჩევნების გამართვა თებერვლის შუა რიცხვებისათვის არ იყო მიზანშეწონილი, მაგრამ ეს წინადადება შეწყნარებულ არ იქნა.

პარლამენტის უმრავლესობა თავის გადაწყვეტილებას იმით ასაბუთებდა, რომ „ევროპაში საზავო კონფერენცია უკვე იწყება და საჭიროა ამ დროისათვის საქართველოს ჰყავდეს უზენაესი საკანონმდებლო ორგანო“.

შეიქმნა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატი ალექსანდრე ლომთათიძე. თავმჯდომარის ამხანაგი (მოადგილე) იყო სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის წევრი თედო ღლონტი, ხაზინადარი – ეროვნულ-დემოკრატი გიორგი გვაზავა. კომისიაში 21 კაცი შედიოდა,[12] მათგან 7

[10] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 15 იანვარი.

[11] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 9 თებერვალი. დარბაზი შეაკეთეს, ახალი კი არ აუშენებიათ.

[12] იურიდიული კომისიის მიერ შედგენილ დამფუძნებელი კრების არჩევნების დებულების პროექტით გათვალისწინებული იყო 15 წევრიანი ცენტრალური საარჩევნო კომისიის შექმნა. ესერთა ფრაქციის წინა-

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წარმოადგენდა. კომისიაში ორ-ორი წევრი ჰყავდათ სოციალისტ-ფედერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიებს.

დაკომპლექტდა საგუბერნიო, სამაზრო და სასოფლო კომისიები. განისაზღვრა ელექტორატის რიცხვი - 876 910 ამომრჩეველი, რომელიც მიახლოებითი გამოთვლით, საქართველოს მთელი მოსახლეობის 45 %-ს შეადგენდა. მოეწყო საარჩევნო უბნები: თბილისში – 50, ქუთაისში – 12 და ა. შ. #1 საარჩევნო უბანი განთავსებული იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. დაიწყო ამომრჩეველთა სიების დადგენა-დაზუსტება.

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავდა, როგორც ცენტრალური საარჩევნო კომისია, ისე უშუალოდ საარჩევნო სუბიექტი, ოღონდ, მოთხოვნის შესაბამისად, ბიულეტენებში განსხვავება არ უნდა ყოფილიყო. ბიულეტენების ბეჭდვისა და დარიგების ხარჯებს პოლიტიკურ პარტიებს ცენტრალური საარჩევნო კომისია უნაზღაურებდა.[13]

„ჩვენ მივდივართ ხალხთან და გვინდა მან სთქვას, სწორი იყო ჩვენი ნაბიჯი თუ შემცდარი, ...მან დააფუძნოს ის, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ, ესე იგი მისცეს საფუძველი და სიმტკიცე, დასცეს დასტური იმ აქტს დამოუკიდებლობისა, რომელიც 26 მაისს ...იქნა გამოქვეყნებული,“ - წერდა მმართველი პარტიის ოფიციოზი გაზეთი „ერთობა.“[14]

პოლიტიკური ორგანიზაციები შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს. არჩევნები 1919 წლის თებერვალში სწორედ ზემოთ განხილული დებულების საფუძველზე ჩატარდა. მასში საქართველოს მთელი პოლიტიკური სპექტრი იყო ჩართული. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 15 პარტია,

---

დადებით, წევრთა რიცხვი 21-მდე გაზარდეს. საქართველოს პარლამენტი, 1918 წ. 2 ნოემბრის სხდომის ანგარიში, გვ. 12.

[13] პირველი საყოველთაო დემოკრატიული არჩევნები დამოუკიდებელ საქართველოში, თბ., 2018, გვ. 32.

[14] გაზ. „ერთობა,“ 1919 წ., 22 იანვარი.

კავშირი და ჯგუფი დაარეგისტრირა. მათ მიერ წარდგენილი სიები საერთო ჯამში დეპუტატობის 482 კანდიდატს მოითვლიდა, რომელთა შორის 26 ქალი იყო დასახელებული.

არჩევნები იმდენად დემოკრატიული იყო, რომ მასში მონაწილეობის უფლება არ შეუზღუდავთ ბოლშევიკებისთვისაც, რომლებიც არ ცნობდნენ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და გამალებით მის დამხობას ესწრაფოდნენ. ბოლშევიკებს ოპოზიცია არ ეთქმოდათ, ისინი ქვეყნის დანარჩენი პოლიტიკური ძალებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის აშკარა, დაუფარავი მტრობითა და მისი ხელისუფლების სიძულვილით გამოირჩეოდნენ. ამჯერადაც ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრებას ბოიკოტი გამოუცხადეს, მაგრამ მას არჩევნების პროცესზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია. იმ დროს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ჯერ კიდევ კოალიციური იყო, მაგრამ მმართველობაში მაინც ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა - საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტია დომინირებდა.

ხელისუფლებამ გარკვეული ღონისძიებები განახორციელა, რათა არჩევნები, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, კონკურენტულ გარემოში ჩატარებულიყო. საარჩევნო პროცესის თანასწორ, სამართლიან, გამჭვირვალე და თავისუფალ ვითარებაში წარმართვის უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტრომ სპეციალური ცირკულარით აკრძალა არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება.[15] პოლიციას მითითება მიეცა, არ გასცდენოდა კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და დაეცვა პოლიტიკური ნეიტრალობის პრინციპი. საარჩევნო ადმინისტრაციას კანონმდებლობის დარღვევის პრევენცია და გამოვლენილ დარღვევებზე ოპერატიული რეაგირება დაევალა და სხვ.

საარჩევნო სუბიექტებს სრული უფლება მიეცათ ეწარმოებინათ საარჩევნო კამპანია, გაეშალათ აგიტაცია, გამოექვეყნებინათ

[15] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 20 თებერვალი.

და ელექტორატისათვის დაუბრკოლებლად გაეცნოთ თავიანთი პოლიტიკური პლატფორმები. ბევრმა პოლიტიკურმა ძალამ სრულად ისარგებლა ამ შესაძლებლობით და სააგიტაციო მასალა ბეჭდური ფორმით გაავრცელა. ამ დოკუმენტებში აისახა პარტიების საპროგრამო დებულებები, სოციალურ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრიორიტეტები, დაპირებები მოსახლეობისადმი და სხვ. თითოეული პარტია ცდილობდა ხაზი გაესვა საკუთარი დამსახურებისათვის, შთამბეჭდავად წარმოეჩინა მიღწეული შედეგები, გულუხვი ყოფილიყო დაპირებებში და მიემხრო ამომრჩეველი.

„მოქალაქენო! არჩევნების დღეს უნდა გადაწყდეს საქართველოს ბედი! თქვენ თვითონ უნდა გამოჭედოთ იგი! საქართველოს ერთი დიდი მტერთაგანი იქნება არჩევნებისადმი გულცივობა! ...არჩევნების დღეებში არც ერთი არ დარჩეთ შინ! ყველამ მიაშურეთ საარჩევნო ყუთებს! არც ერთმა არ დაჰკარგოთ ხმა!“ - მოუწოდებდა ქართული პერიოდული პრესა.[16]

„იმ ორომტრიალში, რომელიც თან სდევს ყოველ არჩევნებს, იმ საარჩევნო დემაგოგიაში, რომელიც სჩვევიათ ჩვენ სოციალისტებს, ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგათ, რომ საქართველოს მოქალაქე სულის სიმშვიდეს არ დაკარგავს და კიდევ შერჩება უნარი ავის და კარგის გაგების“, - აცხადებდა მემარჯვენე ოპოზიციური გაზეთი „საქართველო“.[17]

პოლიტიკური პარტიებისა და პერიოდული პრესის აქტიურმა აგიტაციამ შედეგი გამოიღო. აბსენტეიზმი უმნიშვნელო იყო. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მიუხედავად მკაცრი კლიმატური პირობებისა (თბილისში 5 გრადუსი ყინვა, ბევრგან დიდთოვლობა და ქარ-ბუქი აღინიშნა), მონაწილეობა მიიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში და გამოხატა თავისი პოლიტიკური ნება. საარჩევნო ურ-

[16] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 14 თებერვალი.
[17] გაზ. „საქართველო“, 1919, 15 თებერვალი.

ნებთან მივიდა ელექტორატის დაახლოებით 58 პროცენტი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ლეგიტიმურად ჩაითვალა 505 477 ხმა.[18]

როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნებში სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს. მათ ხმების 84 %-მდე დააგროვეს და 109 მანდატი მიიღეს. დანარჩენი 21 ადგილი სამმა პოლიტიკურმა პარტიამ გაინაწილა. ეროვნულ-დემოკრტებმა და ფედერალისტებმა დამფუძნებელ კრებაში 8-8, ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერებმა 5 დეპუტატი გაიყვანეს.

დამატებით არჩევნებს, რომელიც ორჯერ გაიმართა, დამფუძნებელი კრების პარტიულ შემადგენლობაში სერიოზული კორექტივები არ შეუტანია. ქვეყნის პოლიტიკურ საჭეს დიდი უმრავლესობით სოციალ-დემოკრატები დაეუფლნენ.

როგორ ჩაიარა ქართულ და მეტიც, - კავკასიურ სინამდვილეში ამ პირველმა საერთო-სახალხო არჩევნებმა? გამოვლინდა და აღირიცხა თუა არა დარღვევები საარჩევნო კამპანიისა და ხმის მიცემის, ბიულეტენების დათვლის, საუბნო თუ საოლქო შემაჯამებელი ოქმების შედგენისას? როგორი იყო ამ დარღვევების ხასიათი, ატარებდნენ ისინი პროცედურულ, ტექნიკურ თუ სხვა შინაარსს?

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს ოფიციალური საერთაშორისო მეთვალყურეები და დამკვირვებლები არ დასწრებიან. იმ ხანად არც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები არსებულან, რომლებიც მონიტორინგს გაუწევდნენ საარჩევნო პროცესს. ცხადია, არ გამოუყენებიათ არც ხმების პარალელური დათვლის მეთოდი და არც - ეგზიტპოლების სისტემა, მაგრამ არჩევნების ლეგიტიმურობა ეჭვქვეშ არავის დაუყენებია.

მიუხედავად ამისა, არსებობს წყაროები, რომლებზე დაყრდნობითაც შეიძლება ვიმსჯელოთ საარჩევნო პროცესში გამოვლენილი დარღვევების თაობაზე. ეს წყაროებია: 1. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული, საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და

[18] პირველ დამატებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 30 ათასამდე ამომრჩეველმა.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ფონდებში შემორჩენილი დოკუმენტური მასალა, და 2. არჩევნების თანადროული პერიოდული პრესის მონაცემები.

საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნების დროისათვის ჯერ კიდევ უცხო იყო ე. წ. „კარუსელის“ გამოყენება, მოსყიდვა და გაყალბების სხვა დახვეწილი თანამედროვე მეთოდები, მაგრამ სახელისუფლებო პარტიას უსარგებლია საარჩევნო პროცესში დღემდე აქტუალური ისეთი ფორმებით, როგორებიცაა: ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედება, მუქარა, დაშინება თუ იძულება.

პირველწყაროთა ანალიზით იკვეთება, რომ ოპოზიცია ხელისუფლებას ძირითადად, ძალადობასა და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებდა. მმართველ პარტიას ბრალს დებდნენ იმაში, რომ მის ხელში იყო მთავრობის მთელი ადმინისტრაციული აპარატი და დიდი მატერიალური რესურსი, რომელიც პარტიამ არჩევნებში გამარჯვებისათვის გამოიყენა.

ფედერალისტური გაზეთის „სახალხო საქმის“ სიტყვით, „მიუხედავად იმისა, რომ სოციალ-დემოკრატიას თითქმის უზრუნველყოფილი ჰქონდა უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში, მან ყველგან სასტიკი ძალადობა მოახდინა და ზოგიერთ ადგილას, სადაც ჩვენ უმრავლესობა მივიღეთ, - იარაღით გამოვიდა და ხმები გაბათილებულად გამოაცხადა“.[19]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოფიციოზი გაზეთი „საქართველო“ კი წერდა: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომისრებსა და პროპაგანდისტებს აუარებელი ხალხი მიჰყავთ სოფლებში საარჩევნო ყუთებთან“.[20]

ხსენებულ ზოგად ბრალდებათა გარდა, ოპოზიციურ ბეჭდვით სიტყვაში გაშუქებულია დარღვევების კონკრეტული ფაქტებიც საარჩევნო უბნების მიხედვით, როგორც თბილისში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

[19] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 21 თებერვალი.

[20] გაზ. „საქართველო“, 1919, 15 თებერვალი.

პუბლიცისტი ზაქარია ედილაშვილი აღწერდა საარჩევნო დებულების დარღვევის მაგალითებს გორსა და ქართლის რეგიონში. მისი სიტყვით, აქ ხალხი ისე ჰყავთ დაშინებული სოციალ-დემოკრატების პროპაგანდისტებს, რომ „ვეღარა ჰბედავს სხვა პარტიის მიმხრობას, გინდაც იმ პარტიის იდეა და მოძღვრება ძალიან მოსწონდეს. ამგვარად შექმნილია ერთგვარი მონოპოლია პირველი ნომრისა, რომლითაც მთელი ქართლის სოფლები ჩაუგდიათ ხელში და ქალიან-კაციანათ მათი ყურმოჭრილი მონანი გამხდარან. ეკითხები - რა ამბავია, მარტო ერთ ნომერს რათ მისჩერებიბიხართ, ნუ თუ ყველანი ერთის აზრისა ხართ, ერთის შეხედულებისა და ყველასგან ერთსა და იმავე პასუხს იღებთ, - ჩვენ გადავსწყვიტეთ მთელმა სოფელმა, მაგ ნომერს მივცეთ ხმა და თითო-ოროლა ხომ არ გამოვერჩევით, სოფელს ერთი პირი უნდა ჰქონოდეს“.[21]

ასეთი შემთხვევა კახეთშიც, თელავის მაზრის სოფელ გულგულაშიც გამოვლინდა. როგორც დამფუძნებელი კრების სამანდატო კომისიის მასალებშია აღნიშნული, გულგულაში საარჩევნო უფლების მქონე სოფლის ყველა მცხოვრებს (429 ამომრჩეველი), ერთის გამოუკლებლივ, ხმა მიუცია # 1 სიისათვის. სამანდატო კომისიის წევრები იოსებ ბარათაშვილი (ფედერალისტი) და ალექსანდრე ასათიანი (ეროვნულ-დემოკრატი) გაკვირვებული კითხულობდნენ: როგორ მოხდა, რომ „ყველა ისინი არამც თუ პირველი ნომრის მიმდევარნი აღმოჩნდნენ, არამედ ...არც ერთი ავად არ გამხდარა, არც ერთი დაჰკლებია, სუყველა მოსულა ყუთთან“.[22] საუბნო კომისიაში ყუთი არც გაუხსნიათ, ქ. თელავში, სამაზრო კომისიაში ჩაუტანიათ და იქ დაუთვლიათ ბიულეტენები. სამაზრო და ცენტრალურმა საარჩევნო კომისებმა ეს ფაქტი დარღვევად არ მიიჩნიეს და მონაცემები დაამტკიცეს. სამანდატო კომისიის თავმჯდომარე გრიგოლ ურატაძემ მომხდარს ასეთი ახსნა მოუძებნა: „ადგილობრივ საზოგადო

[21] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 21 თებერვალი.

[22] საქართველოს დამფუძნებელი კრება. პლენარული სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 107-108; 110.

ყრილობას დაუდგენია, რომ ამა თუ იმ დღეს გამოვცხადდეთ ყველა და ყველამ მივცეთ ხმა #1. ...ოქმებიდან სჩანს, რომ გამოცხადა 429 ამომრჩეველი, და იმდენივე კონვერტი აღმოჩნდა. ...შესაძლებელია, თანახმად განაჩენისა, გამოცხადდნენ ისინი, ვინც ხმას აძლევდა პირველ ნომერს, და შეიძლება სულ არ გამოცხადდნენ ისინი, ვინც სხვა პარტიისა იყვნენ. ...აქ ჰქონია ადგილი უბრალო გულუბრყვილობას და არა ბოროტმოქმედებას“.

ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, გულგულის არჩევნები სამანდატო კომისიამაც კანონიერად ჩათვალა და უცვლელად დაამტკიცა.[23]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი პავლე მოსულიშვილი მიუთითებდა აზრის გამოხატვის უფლების შეზღუდვაზე და მოჰყავდა კონკრეტული შემთხვევა, როგორ შეუშალა ხელი მას მილიციელმა საარჩევნო აგიტაციაში.[24] დასახელებული იყო ფაქტი, რომ ერთ-ერთ სოფელში მილიციელი ჰგლეჯდა პლაკატებს და ხალხს ართმევდა სააგიტაციო ბროშურებს.[25]

სოციალისტ-ფედერალისტური პრესა ამხელდა კოჯრისა და წყნეთის ადმინისტრაციის „თავაშვებულ მოქმედებას“, რაც ადგილობრივი კომისრებისა და მილიციელების მხრიდან საარჩევნო პროცესზე ზემოქმედებაში გამოხატულა.[26] სხვათა შორის, წყნეთსა და ზოგიერთ სხვა სოფელში გამოვლენილ დარღვევებზე შესული საჩივრების გამო საგანგებოდ იმსჯელა თბილისის სამაზრო საარჩევნო კომისიამ და „სასწარაფო გამოძიებაც“ დანიშნა. გამოძიების დასკვნის საფუძველზე, კომისიამ საჩივრებში აღნიშნული ფაქტები

[23] საქართველოს დამფუძნებელი კრება. პლენარული სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 111-112.

[24] გაზ. „საქართველო“, 1919, 15 თებერვალი.

[25] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 21 თებერვალი.

[26] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 21 თებერვალი.

არ მიიჩნია არსებით კანონდარღვევად და ხმების უმეტესობით შედეგები დაამტკიცა.[27]

აღბულაღის რაიონში (დღევანდელი თეთრი წყარო) მილიციელები არიგებდნენ დაწებებულ კონვერტებს პირველი ნომრით და თან დასძენდნენ, - „სულ ნუ დაჰბეჭდავთ, ყუთთან უნდა ვნახოთ, მართლა პირველ ნომერს აძლევთ ხმას თუ არაო“.[28]

მანგლისის რაიონში „კომისარ-მილიციონერები და გვარდიელები თოფებით ხელში ხან ერთ სოფელს აწყდებოდნენ და ხან მეორეს. ...არჩევნებში ვინც მონაწილეობას არ მიიღებს დაჯარიმებულ იქნებაო, კაცი 10 მან. ქალი 5 მანეთითაო და ამასთან, ხმა უსათუოდ # 1-ს უნდა მისცესო“.[29]

რაჭაში, დიდთოვლობის გამო, სამაზრო კომისიის გადაწყვეტილებით, არჩევნები ჩატარდა არა 14-16 თებერვალს, არამედ მომდევნო სამი დღის განმავლობაში. სამანდატო კომისიამ მხედველობაში მიიღო ეს გარემოება და არჩევნები დაამტკიცა, თუმცა დეფექტი აღნიშნა.[30]

პერიოდული პრესის ინფორმაციით, დარღვევები გამოვლინდა თბილისის მე-20 საარჩევნო უბანზე, რომელიც განთავსებული იყო ნავთლუხში, რეიტერის ქუჩაზე არსებულ ნადეჟდინის თავშესაფრის შენობაში. აქ ხმა მისცა 520-მა ამომრჩეველმა, ყუთის გახსნის შემდეგ კი აღმოჩნდა 30-ით მეტი კონვერტი. ამ უბნის შედეგები საქალაქო საარჩევნო კომისიამ ბათილად ცნო და მხედველობაში არ მიიღო.[31]

ავლაბრის კლუბში განთავსებულ საარჩევნო უბანში დაპატიმრებულ იქნა ორი პირი, რომლებიც დაშნაკცუთიუნის სასარგებ-

---

[27] საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1834, ანაწ. 2, საქმ. N67.

[28] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 21 თებერვალი.

[29] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 28 თებერვალი.

[30] საქართველოს დამფუძნებელი კრება. პლენარული სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 103.

[31] გაზ. „საქართველო“, 1919, 18 თებერვალი.

ლოდ აძლევდნენ ხმას სხვის მაგივრად. აქვე აღმოაჩინეს დაშნაკთა პარტიის ბიურო, სადაც ყალბი მოწმობები მზადდებოდა.[32]

დიდუბეში, 49-ე საარჩევნო უბანზე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისაგან ლელი ჯაფარიძემ დააფიქსირა, რომ შენობის კარებთან მდგომ მამაკაცს ხელში ეჭირა პირადი ბარათების გროვა, რომელსაც ჩუმად გადასცემდა იქვე მყოფ ქალბატონს. ბარათები ჩამორთმეულ იქნა. არ დადასტურდა საუბნო კომისიის თავმჯდომარის განმარტება, რომ, კომისიის ყველა წევრის თანხმობით, ბარათები ეგზავნებოდათ ამომრჩევლებს, რათა ისინი გამოცხადებულიყვნენ საარჩევნო ურნასთან. გაირკვა მამაკაცის ვინაობაც, იგი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბიულეტენების დამრიგებელი აღმოჩნდა. დარღვევის ფაქტზე შედგა სათანადო ოქმი, რომელიც გადაეგზავნა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.[33]

საქართველოს პარლამენტის წევრის ტ. ავეტისიანის განცხადებით, სოფელ ბელიკლუჩის (დღევანდელი თეთრი წყარო) კომისარმა ქარცივაძემ მას აუკრძალა აგიტაცია დაშნაკცუთიუნის სასარგებლოდ, შეიპყრო ავეტისიანი და მისი თანაპარტიელი კარჩიანი.[34] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ალექსანდრე ლომთათიძის ოპერატიული ჩარევის შედეგად, ავეტისიანი და კარჩიანი გაანთავისუფლეს.[35]

გორში მთელი ოჯახები იყო გამოტოვებული ამომრჩეველთა სიიდან, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც პირველ ნომერს (სოციალ-დემოკრატიულ პარტიას) არ ეკუთვნოდნენ. სოფელ ხიდისთავში საარჩევნო ყუთთან მისულ გლეხკაცებს ეკითხებოდნენ, „რამდენნი არიან თქვენს ოჯახში და ამის თანახმად უდებდენ სიებს კონვერტში და უბრძანებდნ ჩაეყარათ ყუთში“. ქარელის რაიონის ოსებით დასახლებულ სოფლებში გადასატან საარჩევნო ყუთს, რო-

[32] გაზ. „საქართველო“, 1919, 18 თებერვალი.
[33] გაზ. „საქართველო“, 1919, 18 თებერვალი.
[34] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 18 თებერვალი.
[35] გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 19 თებერვალი.

მელსაც კარდაკარ დაატარებდნენ, თან დასდევდნენ შეიარაღებული მილიციელები და „ძალათ აყრევინებდნენ სიებს“.

ერთ-ერთ უბანში დაატუსაღეს 7 პირი ყალბი მოწმობით, რომლებიც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის აგენტები აღმოჩნდნენ.[36]

გაზეთ „საქართველოს“ თანახმად, არაერთი საარჩევნო უბნის კომისიის თავმჯდომარემ კარგად არ იცოდა საარჩევნო კანონი, არღვევდა დებულებას და ნებით თუ უნებლიედ ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას საშუალებას აძლევდა, ჩაედინა ბოროტმოქმედება. მოყვანილი იყო მაგალითი, რომ 15 თებერვალს, 21 საათზე, როდესაც საარჩევნო უბანი დილის 9 საათამდე დაიხურა, ხმის მისაცემად გამოცხადებულ პირთა რიცხვი 100 კაცამდე აღწევდა, მეორე დღით 10 საათისათვის კი, ეს რიცხვი 300 კაცს აღემატებოდა. კომისიაში ამ დროს მხოლოდ სოციალ-დემოკრატითა და ფედერალისტთა პარტიის თითო წევრი იმყოფებოდა.[37]

სოფელ ღვევის (თეთრი წყაროს რაიონი) საზოგადოებაში „ყუთი არ იყო დალუქული, კომისიის წევრი მრავალჯერ შესდევდა ამომრჩეველს ოთახში ბიულეტენის ჩასადებად. კომისარი არჩევნების დროს ყუთთან იდგა და მხურვალე აგიტაციას ეწეოდა. ... შენიშნული იყო, რომ არჩევნებში მცირეწლოვანებიც იღებდნენ მონაწილეობას“.[38]

დარღვევები აღინიშნა დუშეთის მაზრაშიც. თვითმხილველის ინფორმაციით, „სოციალ-დემოკრატი ინსტრუქტორი შეიარაღებული მილიციონერებით მთიულეთისა და ხევის რაიონის კომისართან, ხურუმოვთან ერთად ...დადიოდა სოფელ-სოფელ „სალაპარაკოდ“ და დასაშინებლად. ...საცა სიტყვა უმტყუნებდა, იქ იარაღსა და დამუქრებას მიატანინებდა ძალას“.[39]

---

[36] გაზ. „საქართველო“, 1919, 18 თებერვალი.
[37] გაზ. „საქართველო“, 1919, 18 თებერვალი.
[38] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 28 თებერვალი.
[39] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 26 თებერვალი.

აქვე მინდა დავიმოწმო ამერიკელი ჟურნალისტის, ფართოდ ცნობილი გამოცემის „National Geographic“ ერთ-ერთი ძირითადი ავტორის მეინარდ ოუენ უილიამსის ჩანაწერი, რომელიც, მართალია, ეხება 1917 წლის ნოემბერში ჩატარებული რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნებს თბილისში, მაგრამ დამახასიათებელი იყო საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნებისათვისაც 1919 წელსაც. უილიამსის თანახმად, „არჩევნები თბილისში არის მეტად რთული ამბავი მეეზოვეებისთვის და ძალიან მომგებიანი მბეჭდავებისთვის, ყველა პარტია ეჯიბრება ერთმანეთს იმაში, რომ სხვა პარტიაზე მეტი ფლაერი, პოსტერი, ბანერი იყოს ქუჩაში მისი გამოკრული. ...ხშირად ერთი პარტიის პოსტერი გადაფარულია მეორე პარტიის პოსტერით (ზედ აქვს გადაკრული)“[40] (სამწუხაროდ, მსგავსი სურათი არც ჩვენი თანამედროვე არჩევნების პროცესისთვისაა უცხო).

დამფუძნებელი კრების პირველი დამატებითი არჩევნების წინ, რომელიც 1919 წლის აგვისტოში ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, ასევე ხევსურეთსა და ბორჩალოში ჩატარდა, მოხდა ამგვარი ფაქტი. 1919 წლის 28 ივლისს გაზეთ „სალი კლდის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა რევაზ გაბაშვილის სტატია სათაურით „პასუხი ინგლის“, რომელიც სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლების უმკაცრეს კრიტიკასთან ერთად მთავრობის შეურაცხმყოფელ გამონათქვამებსაც შეიცავდა. ამის გამო შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. რამიშვილის განკარგულებით, გაზეთი დახურეს, ხოლო სტატიის ავტორი ორი კვირით დააპატიმრეს.[41]

რევაზ გაბაშვილი იგონებს: „როგორც კი ...1919 წელს გამოცხადდა პარლამენტის დახურვა და „დამფუძნებელი კრებისათვის“ არჩევნების დანიშვნა, მე მეტეხის ციხეში ჩამსვეს“. ავტორის სიტ-

---

[40] „National Geographic“, Oktober, 1918, p. 255; პ. ჯაგუნავა, ჟურნალის National Geographic ორი სტატია საქართველოს შესახებ (1918 წლის ოქტომბრის და 1919 წლის ნოემბრის ნომრები), ჟურნ. „წყაროთმცოდნეობა“, თბ., 2017/2018, გვ. 293.

[41] გაზ. „პიტალო კლდე“, 1919 წ., 18 აგვისტო.

ყვით, „უკანონო ჩემი დაჭერით, მეორე კურდღელსაც იჭერდნენ, მისპობდნენ საშუალებას, - „დამფუძნებელი კრების“ არჩევნებში მონაწილეობისას“.[42]

ამ ფაქტს, როგორც თავისუფალი სიტყვის შეზღუდვას, მკვეთრად უარყოფითი შეფასება მისცეს ეროვნულ-დემოკრატებმა. მათ თავიანთი პროტესტი ჯერ გაზეთ „საქართველოს“ მეშვეობით გამოხატეს,[43] ხოლო შემდეგ, ფრაქციის სახელით დამფუძნებელ კრებაში საგანგებო შეკითხვა შეიტანეს და მთავრობის წარმომადგენლისგან ახსნა-განმარტება მოითხოვეს.[44]

უნდა აღინიშნოს, რომ რევაზ გაბაშვილისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება არ წაურთმევიათ, იგი დასახელებული იყო ეროვნული პარტიის საკანდიდატო სიაში და კენჭიც იყარა,[45] თუმცა დეპუტატი ვერ გახდა.

ეროვნულ-დემოკრატიული პრესა მიიჩნევდა, რომ სოციალ-დემოკრატებმა „მთელ არჩევნებში ძალად უფრო მეტი ხმა შეიტანეს, ვიდრე თავიანთი პროგრამის შინაარსით და მიმზიდველობით“.[46] სოციალ-დემოკრატთა მხრიდან ძალადობაზე მიუთითებდნენ ფედერალისტებიც, მაგრამ, მათივე განცხადებით, „ჩვენ შორს ვართ იმისაგან, რომ ვამტკიცოთ - სოციალ-დემოკრატიის გამარჯვება მარტო ძალადობით აიხსნება თქო. ეს იქნებოდა განგებ თვალების დაბრმავება და სიბეცე. ხოლო ძალადობას რომ ადგილი ჰქონდა არჩევნებში - ეს ცხადია“.[47]

---

[42] რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში - დაბრუნება, მრავალტომეული, 3, თბ., 1992, გვ. 240-241.

[43] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 1 აგვისტო.

[44] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 2 აგვისტო. საქართველოს დამფუძნებელი კრება. პლენარული სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 28 ივლისი - 11 ნოემბერი, თბ., 2019, გვ. 126, 163.

[45] ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ.525.

[46] გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 26 თებერვალი.

[47] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 23 თებერვალი.

ალექსანდრე ასათიანიც ხაზს უსვამდა: ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ ჩათვალა დარღვევების აღნიშვნა, მაგრამ არა იმისთვის, რომ „დამფუძნებელი კრების სუვერენობა უარყოს და ის არ სცნოს, არამედ იმისთვის, რომ ეს მძიმე შეცდომები არ იქნეს დავიწყებული დამფუძნებელი კრების მიერ მაშინ, როდესაც ის საარჩევნო კანონის შემუშავებას შეუდგება მომავალი პარლამენტისათვის“.[48]

როგორც ვნახეთ, ოპოზიციურმა პარტიებმა, მართალია, საარჩევნო პროცესში სხვადასხვა დარღვევა გამოამჟღავნეს, აღნიშნეს ხარვეზები, რამაც გარკვეული ჩრდილი მიაყენა არჩევნებს, მაგრამ მათივე სამართლიანი შეფასებით, ყველაფერი რომ იდეალურად წარმართულიყო, საბოლოო შედეგი დიდად მაინც არ შეიცვლებოდა.

სრულ სიმართლედ უნდა მივიჩნიოთ დასკვნა ფედერალისტური გაზეთისა, რომელიც არჩევნების შედეგების შეფასების გამო აღნიშნავდა: „წარსულ არჩევნებში, ეჭვს გარეშეა, ადმინისტრაციის გავლენას და ხშირად ძალდატანებასაც ჰქონდა ადგილი, კანონის დარღვევაზე ხომ ლაპარაკიც მეტია..., მაგრამ ყველაფერი რომ რიგზე და წესიერად ყოფილიყო, არჩევნების შედეგი დაახლოებით მაინც ასეთი იქნებოდა და საქართველოს დამფუძნებელ კრებაში უმეტესობა მაინც სოციალ-დემოკრატებს ეყოლებოდათ. ...შეიძლება ოცი, ოცდახუთი ადგილი კიდევ მოკლებოდა მათ დეპუტატების რიცხვს და ეს ხომ არსებითად ვერ შესცვლიდა დამფუძნებელი კრების ძალთა განწყობილებას! ასეთია შედეგი ჩვენი არჩევნებისა, ასეთია სინამდვილე ჩვენი ცხოვრებისა“.[49]

ასეთივე იყო ეროვნულ-დემოკრატთა შეფასებაც. გაზეთ „საქართველოს“ მოწინავე ხაზგასმით მიუთითებდა: „საზეიმო დღეს, როდესაც იხსნება საქართველოს პირველი დამფუძნებელი კრება,

[48] საქართველოს დამფუძნებელი კრება. პლენარული სხდომის ოქმები, ტომი I, 1919 წლის 12 მარტი - 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 111.
[49] გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 9 მარტი.

ვივიწყებთ მის ზოგიერთ სადავო ღირებულებას შინაურ განწყობილების სფეროში – ეს დროებითია და წარმავალი; და მთელის ჩვენის რწმენის სიმტკიცით ვსცნობთ და ავღნიშნავთ მის ღირებულების და ავტორიტეტის სრულს უზენაესობას და უნივერსალურობას საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში".[50]

ზოგიერთი მიუღებელი დარღვევის მიუხედავად, მთლიანობაში საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები დემოკრატიული გზით ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დაკომპლექტების საგულისხმო ნიმუში იყო, ხოლო თავად დამფუძნებელმა კრებამ თავისი ორწლიანი მოღვაწეობით წარუშლელი კვლი დატოვა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცხოვრებაში. მდიდარი და ნაყოფიერი საქმიანობით მან შექმნა საყურადღებო გამოცდილება, რომელიც დღემდე ინარჩუნებს არა მხოლოდ შემეცნებით ღირებულებას, არამედ პრაქტიკულ დანიშნულებასაც.

Election Regulations of the Constituent Assembly of Georgia And Violations during the Election Process

Otar Janelidze

Resume

Establishment of the Consistuent Assembly as a supreme legislative body of the Democratic Republic of Georgia, was preceded by a thorough preparation. The Parliament of Georgia drafted and approved election regulations of the Constituent Assembly. Before the document was finalized, the subject of discussions and arguments was determination of the number of members of the constituent assembly and the age of the deputy candidate, also consensus on whether the police and administration staff would be allowed to vote etc. According to the

[50] გაზ. „საქართველო", 1919 წ., 12 მარტი.

statute, voter recruitment, bribery and other violations of which we are not insured even today were punishable.

According to expert evaluation, election law was one of the most democratic laws in the world.

The election administration was specifically tasked with preventing violations of legislation and responding promptly to violations identified both during the election campaign and directly on the election day.

Elections of the Constituent Assembly were held in a competitive environment, with the electoral subjects fully entitled to carry out the campaign, disseminate agitation, publish, and provide their electorate with unimpeded access to their political platforms.

Although the elections of the Constituent Assembly of Georgia were democratically conducted, archival and periodical press reports show that there were at least several violations revealed during the election process, namely: influence of the voters' will, use of administrative resources by the ruling political force, threats, intimidation and coercion.

Violations were reported both in Tbilisi and elsewhere in Georgia as well. Mandated committees by the City Council, Central Election Committee, and Consistuent Assembly dealt with all the reported violations promptly and responded appropriately to each of them.